პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

პარასკევი
22
იანვარი
1937 წ.
№ 4 (91)
ფასი 10 კაპ.

ლენინის დროშით გავიმარჯვეთ ჩვენ ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლაში. ლენინის დროშით მივაღწიეთ ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ამ დროშითვე გავიმარჯვებთ მთელი მსოფლიოს პროლეტარულ რევოლუციაში.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

ი. სტალინი



სტალინური ფიცი

ჩვენ, კომუნისტები,—განსაკუთრებული აგებულობის ხალხი ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ—ისინი ვართ, რომელნიც შეადგენენ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება—ეკუთვნოდე ამ არმიას, არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, როგორც პარტიის წევრის წოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს წარმოადგენს ამხანაგი ლენინი. ყველას არ შეუძლიან იყოს წევრი ასეთი პარტიისა, ყველას არ შეუძლიან აიტანოს ის გაჭირვება და ქარიშხალი, რომელიც დაკავშირებულია ასეთი პარტიის წევრობასთან. მუშათა კლასის შვილები, გაჭირვებისა და ბრძოლის შვილები, აუტანელ შევიწროებათა და გმირულ თავდადებათა შვილები—აი ვინ უნდა იყოს, უპირველესად ყოვლისა, ასეთი პარტიის წევრი. აი რატომ არის, რომ ლენინელების პარტიას, კომუნისტების პარტიას, ამავე დროს ეწოდება მუშათა კლასის პარტია.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ, მაღლა გვეჭიროს და წმინდად დავიცვათ პარტიის წევრის დიდი სახელი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძს.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ, დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა, გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ჩვენს ძალებს იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ ეს შენი ანდერძიც.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ, დავიცვათ ჩვენი პარტიის მთლიანობა, როგორც თვალის ჩინი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძს.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ, მთელი ძალღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი, გეფიცებით ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ, განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ რესპუბლიკათა კავშირი. გეფიცებით ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებისადმი ერთგულება; გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ჩვენს სიცოცხლეს იმისათვის, რომ განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ მთელი ქვეყნის მშრომელთა კავშირი—კომუნისტური ინტერნაციონალი.

(ი. სტალინი. საბჭოების მე-2 საკავშირო ყრილობაზე 1924 წ. 26 იანვარს წარმოთქმული სიტყვიდან)

ვ. ი. ლენინის დოკუმენტები

ქვემოთ იბეჭდება ვლადიმერ ილიას-ძის ექვსი დოკუმენტი. ლენინის დოკუმენტებს შორის ქვეყნდება სამოქალაქო ომის პერიოდის 4 დეპეშა, 1922 წლის 18 მარტის თარიღით წერილი იუსტიციის სახალხო კომისარ კურსკის და 1922 წლის 6 ოქტომბრის თარიღით ბარათი პოლიტბიუროსადმი.

პირველი დეპეშა, დათარიღებული 1919 წლის 2 თუ 3 იანვრით მთლად ამხანაგ სტალინის მიერ არის დაწერილი, ხელმოწერა ლენინისაა. დეპეშა გაიგზავნა იმ პერიოდში, როდესაც დაწყებული იყო წითელი ჯარების გადამწყვეტი შეტევა დონის ყაზახთა კრასნოვის არმიის წინააღმდეგ. კრასნოველების მიერ რაიგოროდის დაკავება, რაც დეპეშაში მოხსენებულია, ხანმოკლე იყო. უკვე იანვრის მეორე ნახევარში კრასნოვის რაზმები სწრაფად იხევდნენ უკან მთელ ფრონტებზე. კასპიის ზღვაზე მოქმედ ინგლისის ფლოტს, რაზედაც ლაპარაკია აგრეთვე დეპეშაში, თავისი ბაზად ჰქონდა ბაქო, რომლის ოკუპაციაც ინგლისის იმპერიალისტებმა მოახდინეს 1918 წლის მეორე ნახევარში. ბაქოში ინგლისელები დარჩენ 1920 წლის მაისამდე.

1919 წლის 9 ივნისის დეპეშა აღმოსავლეთ ფრონტის სამხედრო რევოლუციურ საბჭოსადმი, სადაც აღნიშნულია აღმოსავლეთის ფრონტის ამოცანები კოლჩაკთან ბრძოლაში და ხაზგასმულია ჯარების ნაწილის სხვა ფრონტებზე გადაყვანის აუცილებლობა, დაწერილია იმ პერიოდში, როდესაც იუდენიჩი ზაფხულში შეტევას აწარმოებდა პეტროგრადზე და როდესაც დენიკინელებმა გაარღვიეს ჩვენი სამხრეთის ფრონტი მილეროვის რაიონში. აღმოსავლეთის ფრონტზე საომარი მოქმედება წითელი ჯარებისათვის ხელსაყრელად ვითარდებოდა და სწორედ 9 ივნისს, დეპეშის გაგზავნის დღეს, ჩვენ უფა ავიღეთ.

ფრუნზეს 1919 წლის 18 ოქტომბრის დეპეშა დაწერილია იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიეთ კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლაში აღმოსავლეთის ფრონტზე. 14 ოქტომბერს დაიწყო წითელი არმიის ახალი შეტევა, რომელმაც საბოლოოდ გასტეხა კოლჩაკელთა წინააღმდეგობა. ფრუნზე ამ დროს მოქმედებდა ურალისა და ორენბურგის ოლქების რაიონში.

1920 წლის 13 ნოემბრის დეპეშა ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილია მაშინ, როდესაც სტალინი იმყოფებოდა კავკასიაში, თემირ-ხან-შურაში (ბუინაქსი), სადაც ი
ჩასული იყო ბაქოდან დაღესტნ
ხალხთა ყრილობაზე. ამხანა
სტალინი კავკასიაში ხელმძღვან
ლობას უწევდა ჯერ კიდევ გადა
ჩენილი თეთრგვარდიელი რაზმ
ბის ლიკვიდაციას.

იუსტიციის სახალხო კომისა
კურსკისადმი 1922 წ. 18 მარტ
წერილის დაწერის საბაბი შეიქმ
შაქრის მრეწველობის ტრესტ
გამოაშკარავებული უმსგავსოებან
წერილში ლენინი მოითხოვს „მკა
რად გასწორებას" დამნაშავეებთა

ბარათი პოლიტბიუროსადმი ვლ
დიმერ ილიას-ძის მიერ დაწერ
ლია 1922 წლის 6 ოქტომბერ
ლენინი მხოლოდ იმ დღეებში (
ოქტომბერს) შეუდგა მუშაობა
როცა გამოკეთდა ავა მყოფობი
პირველ შემოტევათა შემდეგ. ბ
რათი დაწერილია პოლიტბიურო
სხდომაზე საკავშირო კონსტიტუ
ციის შესახებ კომისიის მოხსენები
განხილვასთან დაკავშირებით. ლ
ნინი, რომელსაც იმ ხანებში კბი
ლი სტკიოდა, რასაც იგი აღნი
ნავს ბარათში (და საერთოდ
დროს შეუძლოდ გრძნობდა თავ
სხდომას არ დასწრებია.

**საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არს
ბული მარქს ენგელს-ლენინ
ინსტიტუტი.**

დეპეშა აღმოსავლეთის ფრონტის რევსამხედრო საბჭოს

9 ივნისი [1919 წ.]

ყოველგვარ რიგს გარეშე. კომისარმა თვალყური გაადევნოს გავლას. აღმოსავლეთის ფრონტის რევსამხედრო საბჭოს.

ძლიერი გაუარესება პიტერთან და გარღვევა სამხრეთით გვაიძულებენ ჩვენ კვლავ და კვლავ მოვხსნათ ჯარები თქვენი ფრონტიდან. სხვანაირად არ შეიძლება. თქვენ უნდა გადახვიდეთ უფრო რევოლუციურ სამხედრო მუშაობაზე და ბოლო მოუღოთ ჩვეულებრივობას. ფრონტის მომიჯნავე რაიონში მოახდინეთ უკლებლივ ყველას მობილიზაცია 18-დან 45 წლამდე. დაუსახეთ მათ ამოცანად უახლოესი დიდი ქარხნების აღება. როგორიცაა მოტოვილიხა. მინიარი, ამასთან აღუთქვით შინ გაშვება, როდესაც მათ აიღებენ. თითო შაშხანა მიეცით ორ-ორ და სამ სამ კაცს, მოუწოდეთ განდევნონ კოლჩაკი ურალიდან და მოახდინეთ პარტიისა და პროფკავშირთა წევრების 75 პროცენტის მობილიზაცია. სხვა გამოსავალი არ არის უნდა გადავიდეთ რევოლუციურ მუშაობაზე. განიხილეთ ნაწილობრივ კამენევთან*) ერთად, როგორ უნდა ჩატარდეს ეს და გვიპასუხეთ, რა ზომებს იღებთ. [38]

ლენინი.

რესპუბლიკის რევსამხედრო საბჭოს

[1919 წ. 2 თუ 3 იანვარი]

კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსის № 4373 ოპერატიული ცნობიდან სჩანს, რომ კრასნოველებმა დაიკავეს რაიგოროდი ვოლგის ნაპირას სარეპტის სამხრეთით და ემუქრებიან, ჯერ ერთი, ჩვენს სამხედრო ტვირთს, რომელიც მიდის ვლადიმიროვკიდან ცარიცინისაკენ, მეორე, ასტრახან-სარატოვის ხაზის მთლიანობას. გთხოვთ მიიღოთ ზომები. იმავე ოპერატიული ცნობიდან სჩანს, რომ ინგლისის ფლოტმა, ოთხი გემის შემადგენლობით, სროლა აუტეხა სტაროტერეჩნაიას. ასტრახნის სამხრეთით, ცეცხლი წაუკიდა ორ ჩვენს ბარჟას და უვნებელი წავიდა ზღვაში, ამასთან გაიტაცა ჩვენი საჰოსპიტლო გემი „ალესკერი" სამედიცინო პერსონალით. სად არის ჩვენი ფლოტი და რას აკეთებს იგი? [12]

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი.

წერილი დ. ი. კურსკის

(1922 [წ.] 18 მარტი).

ამხ. კურსკი!

ამხ. ციურუპამ თქვენ გამოგიგზავნათ წერილი შაქ[რის] ტრესტის შესახებ.

გთხოვთ უდიდესი ყურადღება მიაქციოთ ამ საქმეს.

დანიშნეთ **საუკეთესო** მუშაკი. შეამოწმეთ **პირადად.**

მაქსიმუმი ენერგია და სიმკაცრე.

ჩვენს სახელმწიფო ტრესტებში უამრავი უმსგავსოებაა. და უცუდესი უმსგავსონი, უსაქმურნი, სალახანები—ეს „კეთილსინდისიერი" კომუნისტები არიან, რომელნიც საშუალებას აძლევენ სხვებს, რომ ისინი კეთილსინდისიერად მოატყუონ.

იუსტ ს[ახ]კ(ომი) და რევტრიბუნალი უწინარეს ყოვლისა არიან პასუხისმგებელნი მკაცრი გა[ს]წორებისათვის ამ სალახანებსა და თეთრგვარდიელებთან, რომლებიც მათ სათამაშოდ იყენებენ.

ქ. ხალ, ლენინი.

დეპეშა მ. ვ. ფრუნზეს

1919 წ. 18 ოქტომბერი.

თურქ. ხაზის ფრონტის რევსამ
ხედრო საბჭოს. ფრუნზეს.

მთელი ყურადღება მიაქციე
არა თურქესტანს, არამედ ურალი
ყაზახთა სრულ ლიკვიდაციას, ყოველგვარი, თუნდაც დიპლომატი
ური ზომებითაც. მთელი ძალღონით დააჩქარეთ სამხრეთის ფრონტისათვის დახმარების გაწევა
იქნებ შეიძლებოდეს ორენბურგი
ყაზახთა წამოყვანა პიტერ-ან ა
სხვა ფრონტზე. უფრო ხშირა
გვაცნობეთ ფაქტიური შესრულება. [127]

ლენინი.

დეპეშა ი. ბ. სტალინს

(1920 წ. 13 ნოემბერი)

სტალინს.

როგორ მიმდინარეობს ბრძოლ
ბანდებთან? მართალია თუ არა, რო
მათში 20.000 ქვეითა ჯარისკაც
და ცხენოსანია? საკმარისი არია
თუ არა კავკასიის ფრონტისათვი
დანიშნული დამხმარე ძალები? შესაძლებლად სთვლით თუ არა ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარებას საქართველოსა და სომეხთთან და რა საფუძველზე. შემდეგ, სწარმოებს თუ არა სავსებით
სერიოზული მუშაობა ბაქოს მისასვლელთა გასამაგრებლად. გთხოვთ
აგრეთვე მოკლედ დეპეშით მომაწოდოთ ცნობები თურქეთისა და
სპარსეთის შესახებ. უფრო ვრცლად
წერილით. (574)

ლენინი.

ბარათი პოლიტბიუროსადმი

(1922 წ. 6 ოქტომბერს).

ველ(იკო)რუს(ულ) შოვინიზმს ვუცხადებ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. როგორც კი ამ წყეულ კბილს მოვიშორებ, ყველა ჯანსაღ კბილით შევჭამ მას.

აბსოლუტურად უნდა მოვითხოვოთ, რომ საკავშირო ცაკში მორიგეობით **თავმჯდომარეობდნენ** რუსი, უკრაინელი, ქართველი და
სხვ. აბსოლუტურად!

თქვენი ლენინი.

სწორია: ი. სტა(ლინი).

---

*) ს. ს. კამენევი იმ ხანებში, აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა იანვარი

...ათასობით მოკლულნი და დაჭრილნი—ასეთია 22 (9) იანვრის სისხლიანი კვირის შედეგები პეტერბურგში. ჯარმა დაამარცხა უიარაღო მუშები, ქალები და ბავშვები. ჯარმა სძლია მტერს, დახვრიტა რა მიწაზე მწოლიარე მუშები. ჩვენ მათ კარგი გაკვეთილი მივეცით!“ გამოუთქმელი ცინიზმით ლაპარაკობენ ახლა მეფის მსახურნი და მათი ევროპელი ლაქიები კონსერვატული ბურჟუაზიიდან.

დიახ, გაკვეთილი დიდი იყო! რუსეთის პროლეტარიატი არ დაივიწყებს ამ გაკვეთილს.

...მუშათა კლასმა მიიღო სამოქალაქო ომის დიდი გაკვეთილი; პროლეტარიატის რევოლუციურმა აღზრდამ ერთი დღის განმავლობაში ისე წაიწია წინ, როგორც მას არ შეეძლო წაწევა უფერული, ყოველდღიური, დაბეჩავებული ცხოვრების თვეებისა და წლების განმავლობაში.

...ახლა მთელი რუსეთის პროლეტარიატს უდიდესი მოუთმენლობით შეჰყურებს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი. ცარიზმის დამხობა რუსეთში, რაც გმირულად დაიწყო ჩვენმა მუშათა კლასმა, გადაიქცევა მოსახვევ პუნქტად ყველა ქვეყნის ისტორიაში, ყველა ეროვნების ყველა მუშის საქმის გაადვილებად ყველა სახელმწიფოში, დედამიწის ყველა კუთხეში.

ნ. ლენინი

ამოღებულია წერილიდან: „რევოლუციის დასაწყისი რუსეთში“, რომელიც დასწერა ლენინმა ჟენევაში 1905 წ. 12 (25) იანვარს და დაიბეჭდა „ვპერიოდში“ (№ 4).



9 იანვარი. დემონსტრანტთა დახვრეტა ზამთრის სასახლესთან

სიკვდილი მკვლელებს

23 იანვარს დღის 3 საათზე ილისის სახ. უნივერსიტეტის უბში შესდგა უნივსრსიტეტის ნიერ მუშაკთა, თანამშრომელ და სტუდენტთა გაერთიანებუ მიტინგი. მიტინგზე მოსმენილ ა სსრკ პროკურატურის ცნობა ნტრრევოლუციურ ტროცკის ულ „პარალელური ცენტრის“ ახებ.

მოხსენებით გამოვიდა ამხ. ცინ ძე. სიტყვებით გამოვიდნენ: ოფ. შ. ცინცაძე, პროფ. გ. ჩა ძე, ამხ. აკ. კაცია, სტამბა-ლი აგრაფიის მუშა ვ. ფერაძე და უდენტობის სახელით ტრა ძე. მომხსენებლისა და გამო ლ ამხანაგთა სიტყვები გამსჭვა ლი იყო უდიდესი სიძულვილით ტიისა და ხალხის მტრების, იზღარი კონტრრევოლუციური ოცკიზმის ნაძირალების, პრო აიული ორპირების, ფაშისტუ დივერსანტების და სისხლიანი რორისტების მიმართ, რომლე ც ლამობდნენ დიდი სტალინისა მის თანამებრძოლთა ფიზიკუ განადგურების გზით თავი მოე თად საერთაშორისო მუშათა ქრაობისათვის.

— მეტი სიფხიზლე; მეტი მზრუნ ობა და ყურადღება საერთაშო ო მუშათა კლასის საყვარელ ადს, **დიდ სტალინს**. მშობლი ა მზრუნველობით კიდევ უფრო ს შემოვერტყათ ჩვენს ბელა ს და თვალის ჩინივით მოუა თ მათ.

— ისტორიის მიმდინარეობისა გარიყული და განწირული ერ მუჭა კონტრრევოლუციური ნა ალები: პიატაკოვი, რადეკი, ოლნიკოვი და სხვათა სახით ესილი უნდა იქნან. სიკვდილი ხის მტრებს.

— ჩვენ კიდევ უფრო დავირაზმებით კომუნისტური პარტიის გარშემო, ჩვენი მშობლიური **სტალინის** გარშემო, ასეთია კრების მოთხოვნა.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტობა, პედპერსონალი და მუშა-მომსახურეები ჩვენი ქვეყნის და მსოფლიოს მშრომელებთან ერთად ღრმა აღშფოთებით და უდიდესი ზიზღით ვხვდებით ტროცკისტ-ფაშისტ-ჯაშუშთა ჯგუფის საზიზღარ მოქმედებას, ცდილობას—რომ შეაფერხონ კომუნიზმის ძლევამოსილი წინსვლა. კრება ერთსულოვნად მოითხოვს ამ ქვეწარმავალთა დახვრეტას. უნივერსიტეტის სტუდენტობა და პედპერსონალი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მაღლა ასწევენ სტალინურ სიფხიზლეს, გამოამჟღავნებენ და დაუნდობლად გაანადგურებენ ტროცკისტ-ზინოვიევურ ფაშისტურ ნაბოლარების ნაშთებს.

უსაზღვროა ჩვენი სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი, ყველაზე ძვირფასი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის მშობლიურ დიდი **სტალინისადმი**.

ჩვენ მთელ სიცოცხლეს შევწირავთ სოციალისტური სამშობლოს კიდევ უფრო აყვავებას.

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს, მშრომელ ხალხთა ბელადს დიდ სტალინს.

გაუმარჯოს საქართველოს და ა.-კ. ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფეს ამხ. ლ. ბერიას.

ტროცკისტული ჯაშუშები, დივერსანტები, სამშობლოს მოღალატენი

„პრავდის“ მოწინავე, 21 იანვარი

სსრ კავშირის პროკურატურის ცნობიდან, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, ჩვენი ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მშრომელებმა ღრმა აღშფოთების·გრძნობით, უდიდესი ზიზღის გრძნობით შეიტყვეს ტროცკისა და მისი ბანდის ახალი დანაშაულებანი. ტროცკისტული ცენტრის ცნობილ პროცესზე ბრალდებულნი ყველაფერს ბოლომდე არ ამბობდნენ. მათ იმედი ჰქონდათ რომ სამარეში თან ჩაიტანდნენ საიდუმლოებას თავისუფლად დარჩენილი ტროცკისტული „პარალელური ცენტრის“ შესახებ. ზინოვიევის, კამენევის, სმირნოვის და სხვების გვერდით თავის დანაშაულებრივ მუშაობას ეწეოდნენ ღრმა დაკონსპირებული პიატაკოვი, რადეკი, სოკოლნიკოვი, სერებრიაკოვი, მაგრამ ახლა კონტრრევოლუციის ეს „პარალელური ცენტრიც“ მაილებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ.

სსრ კავშირის პროკურატურის ცნობაში დასახელებულ ყოველ ბრალდებულს თან მისდევს იმ საშინელ დანაშაულობათა ჯაჭვი, რომელნიც თავისი ცინიზმით, თავისი სისაძაგლით აღემატებიან ყოველივეს, რაც კი ადამიანის გონებას შეუძლია წარმოიდგინოს.

დანაშაულობანი სხვადასხვანაირია. მათი საერთო სახელია—შავი ღალატი სამშობლოსადმი, კაპიტალიზმის რესტავრაცია. გამცემლები უკავშირდებოდნენ საბჭოთა ქვეყნის მოსისხლე მტრებს—უცხოელ აგრესორებს. ისინი თავის ამოცანად ისახავდნენ დაეჩქარაებიათ სამხედრო თავდასხმა საბჭოთა კავშირზე იმ ვარაუდით, რომ იგი დამარცხდებოდა ომში. ტროცკის დავალებით მათ მოაწყეს შპიონაჟი, მავნებლობა უმნიშვნელოვანეს საწარმოებში, ამზადებდნენ და ცხოვრებაში ატარებდნენ დივერსიულ (ძირგამომთხრელ) აქტებს, რათა შეესუსტებინათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა.

და ამისათვის ისინი მართავდნენ მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირისადმი მტრულ უცხოურ ძალებთან, ეძებდნენ მათ ხელშეწყობასა და მხარდაჭერას. ისინი ჰპირდებოდნენ, რომ კარს გაუღებდნენ უცხოეთის კაპიტალს, უხვად გასცემდნენ ქარხნებისა და მაღაროების, ტყეებისა და სარეწაოების კონცესიებს. ისინი წინასწარ ვაჭრობდნენ საბჭოთა ტერიტორიის ნაწილებით, აგრესორებზე ჰყიდნენ სსრ კავშირის ხალხთა მიწაწყალსა და თავისუფლებას. ისინი უფრო დაბლა დაეცნენ, ვიდრე რომელიმე კოლჩაკელი, დენიკინელი, კადეტი.

ტროცკისტულ არამზადებს ნაციონალიზმის არავითარი გრძნობაც კი არ აღმოაჩნდათ და ისინი მზად იყვნენ დაენაწილებინათ საბჭოთა კავშირი, ოღონდ კი თავისი საზიზღარი რესტავრატორული მიზნებისათვის მიეღწიათ. ფაშისტები არ დასთანხმდებიან იმას, რომ თავისი ქვეყნის ტერიტორია უცხოელებს მისცენ,—ტროცკისტული უწმინდურები კი ამაზე მიდიოდნენ.

მაგრამ ამით არ განისაზღვრებოდა მათი დანაშაულებრივი მოქმედებანი. ტროცკის დავალებებით, „პარალელური ცენტრი“ აწყობდა ტერორისტულ თავდასხმებს საბჭოთა სახელმწიფოს და საკ. კ. პ.(ბ) ხელმძღვანელებზე. მათი ხელები გასვრილია სერგეი მირონის-ძე კიროვის სისხლში, კემეროვის მაღაროების მეშახტეთა სისხლში, დონბასის მუშათა სისხლში.

თავისი მიზნების მისაღწევად ისინი არაფრის წინაშე არ იხევდნენ უკან. ისინი საჯაროდ ინანიებდნენ თავის “შეცდომებს“, ფიცულობდნენ პარტიისა და ხალხის სიყვარულს. კიროვის მკვლელის—ზინოვიევის მსგავსად, რომელმაც მგრძნობიარე ნეკროლოგი დასწერა მაშინ, როცა თავისი მსხვერპლის ცხედარი ჯერ კიდევ გაციებული არ იყო, ისინი წარმოსთქვამდნენ სიტყვებს და სწერდნენ სტატიებს სოციალიზმის დასაცავად, რათა დაეფარათ, შეენიღბათ საზიზღარი დანაშაულებანი სოციალიზმის წინააღმდეგ.

ისინი სამშობლოს მოღალატენი და პორაჟენცები არიან. აქედან გამოსდგება მათი სიძულვილი მუშათა კლასისადმი, რომელმაც სოციალისტური საზოგადოება ააშენა. აქედან არის მათი სიძულვილი გლეხობისადმი, რომელიც საკოლმეურნეო ცხოვრებას აშენებს. აქედან არის მათი სიძულვილი საბჭოთა ინტელიგენციისადმი, რომელიც ჰქმნის სოციალისტურ მეცნიერებას, ლიტერატურას, ხელოვნებას.

ტროცკისა და პიატაკოვს, რადეკსა და სოკოლნიკოვს აქვთ ერთი და იგივე, რაც გერმანიის ფაშიზმის ბელადებს, ღრმად მტრული, გაცოფებამდე მისული, გაავთრებული დამოკიდებულება სოციალიზმისადმი, საბჭოთა ქვეყნისადმი, სოციალიზმის მშენებელი ხალხებისადმი... ტროცკისტებმა თავის მიზნად დაისახეს **წაართვან ჩვენი ქვეყნის მშრომელთ ყველა მათი მონაპოვარი, დაუბრუნონ კაპიტალისტებს ფაბრიკები და ქარხნები.** მათ ჰსურდათ ისტორიის ჩარხი უკუღმა დაეტრიალებინათ, მოეხდინათ საკოლმეურნეო წყობილების ლიკვიდაცია, **სოფლის ბატონ-პატრონად გაეხადათ კულაკი, დაემონებინათ საბჭოთა გლეხობა, ჩაეგდოთ იგი კულაკურ კაბალაში.**

შემთხვევითი როდია ტროცკისტთა ეს შეხვედრა და კავშირი ფაშისტებთან საერთო დანაშაულებრივ საქმეზე. იმ სისაძაგლეთა ჯაჭვში, რომლებმაც პიატაკოვი, რადეკი, სოკოლნიკოვი, სერებრიაკოვი და სხვ. ბრალდებულთა სკამამდე მიიყვანეს, არის ისტორიული ფაქტების ულმობელი ლოგიკა: ვინც დაადგა კაპიტალიზმის დაცვის გზას პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ, ვინც ბურჟუაზიასთან წავიდა მუშათა კლასის წინააღმდეგ, იგი აუცილებლად შეიძენს კაპიტალიზმის ყველა მანკს, შეითვისებს მთელ მის ყაჩაღურ „მორალს“.

იუდუშკა ტროცკისა და მის თანამოაზრეთა გზა საყოველთაოდ ცნობილია. პიატაკოვი, სოკოლნიკოვი, რადეკი, სერებრიაკოვი—ეს სახელები თან სდევდნენ ყველა ფრაქციულ, ოპორტუნისტულ, კონტრრევოლუციურ გამოსვლებს ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. ამ ადამიანებს, რომლებიც ლენინის სიცოცხლეში იბრძოდნენ პარტიის ხაზისა და თვით ლენინის წინააღმდეგ, აწყობდნენ ყოველგვარ მზაკვრობას ბოლშევიზმის წინააღმდეგ, კიდევ შესწევთ თავხედობა თავიანთ თავს „ბოლშევიკ-ლენინელები“ უწოდონ. გამცემლები, ჯაშუშები, სამშობლოს მოღალატეები—მათი დანაშაულობანი განსაკუთრებით საზიზღარია იმიტომ, რომ დამალულია ფრაზებით მუშებისა და გლეხების მოსატყუებლად.

დაჰკარგეს რა თავიანთი მომხრენი, გადაიქცნენ რა არარა, იზოლირებულ პატარა ჯგუფად, ისინი დაადგნენ პირდაპირი კონტრრევოლუციის, მავნებლობის, შპიონაჟისა და დივერსიების გზას. მათ თავიანთი თავი მიჰყიდეს იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჯგუფს, რომლებიც ომის გაშმვლებული გამჩაღებლები არიან. **ისინი ოცნებობდნენ იმაზე, რომ უცხოელთა ხიშტების დახმარებით დაენაწილებინათ სსრ კავშირი, დაემხოთ მუშებისა და გლეხების ხელისუფლება, აღედგინათ საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმი და ბურჟუაზიის ბატონობა.**

ისინი შეპყრობილი და მხილებულნი არიან დაცემის უკანასკნელ საფეხურზე. ნიღაბი ჩამოგლეჯილია. ამ ნიღაბქვეშ აღმოჩნდა ფაშისტი მხეცის, მშრომელი ხალხის აშკარა მტრის მახინჯი სახე.

ტროცკისტულ გადაგვარებულთა კაპიტალისტურ ბუნებას ამხელს ის ცინიკური სიმშვიდე, რომლითაც ისინი ამზადებდნენ პარტიის, მთავრობის ხელმძღვანელთა და რიგითი მუშების მკვლელობას. ტროცკის პირდაპირი დავალებებით პიატაკოვი თავდაცვის მნიშვნელობის საწარმოებში აფეთქებებთან ერთად აწყობდა მუშათა მასობრივ გაჟლეტას, ტროცკისტული „პარალელური ცენტრი“ მზად იყო ფაშისტ ჯალათებისათვის საჯიჯგნად მიეგდო ათასობით, ასი ათასობით საბჭოთა მუშები, მშრომელები, ინტელიგენტები, რათა უზრუნველეყო საბჭოთა კავშირის დამარცხება ომში და იმპერიალისტთა ბინძური ხელიდან მიეღო მოჩვენებითი ძალაუფლება.

მასებთან ყოველგვარ კავშირს მოკლებული ამ საზიზღარი ჯგუფის არარაობა მხოლოდ ტროცკისტულ უტიფრობასა და საზიზღრობას უდრის. ისინი უბადრუკნი და სასაცილონი არიან თავიანთ ცოდვილობაში შეაფერხონ სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობა, უკან შემოაბრუნონ დიადი ხალხის ბედი. მაგრამ ისინი საშიშნი არიან ფაშიზმის აგენტთა შპიონაჟის, მავნებლობის, დივერსიების, ტერორისტული აქტების ორგანიზატორთა როლში. ამ მხრივ მათი საშიშროება არ შეიძლება სათანადოდ არ იყოს შეფასებული. მათი დანაშაულობანი უზომოა. პროლეტარული სასამართლო მათ სრული საწყაოთი მიუზღავს სამშობლოს საზიზღარი ღალატისათვის.

პ.-მბ. რედაქტორი:
პ. ხოგუა

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლიტოგრაფია მთავლიტის რწმუნებული № ზ—37